


# საქართველო



სამეცნიერო და სალიბერატორო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 15.

აპრილის 11, 1893 წ.

№ 15.

**მისაჩივნი:** — მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (მოგონება) ნიკოლოზ ყიფიანისა, — მატიანე. — დიდებული წადილი დიდებულის მოხუცისა იაკობ სვიმონიძისა. — \* \* (ლექსი) სილოვანისა. — ქართულთა და სომეხთა ურთიერთობა გ. წერეთლისა. — ხალხური ლექსი (ფშავში ჩაწერილი) გრ. აფშინაშვილისა. — სიცრუეს სიტყვის კარუბამდის. — განცხადებანი.

## მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი

(მოგონება)

**წ**ოდესაც ასე დაშორებული ვარ საქართველოსა და როდესაც ხელში არა მაქვს არავითარი მასალა მიხეილ ზაალის ძის ბიოგრაფიის შესადგენად, არ შემიძლია, დაწერილებით მოეუთხრა მკითხველს მიხაკოს ცხოვრება.

მინდა მხოლოდ ეუბამო, რა იყო ჩემთვის ეს ძვირფასი ჩემი ბიძაშვილი, ჩემი ძმა და უფროსი მე-



გობარი. ამიტომ როდესაც მიხაკო ყიფიანის ამბავს ვილაპარაკებ, ზოგან და ზოგან უნებურად ჩემი პიროვნული ამბავიც უნდა გამოეყრო.

მგონია, ურიგო არ უნდა იყოს, უმცროსმა ხან-და-ხან უაზროს თავისს ძვირფასებს (შვილებს, მოძმეებს, მეგობრებს), რა იყო იმისათვის ესა და ეს გამოჩენილი, ესა და ეს მაღალი ხარისხის და დიდი ღირსების კაცი, — მგონია, ურიგო არ უნდა იყოს, დაეუგლოთ ხან-და-ხან ყური უბრალო ბალახსა,

თუ მოგვიყვანო იმის ამბავს, რა იყო და რა არის მისთვის შვედ და შვის სხივი...

ერთი უბრალო ბალახი, მეც ისე მიწნდა გიამბოთ, რა მოქმედება ჰქონდა ჩემზედ ამ სინათლე კაცსა, მიხაკო ყოფიანსა...

ნიცაში ვიყავი, როდესაც ერთმა ჩემმა შვილთაგანმა მომწერა სხვათა შორის ამბავი ჩემი ძვირფასის მიხაკო ყოფიანის გარდაცვალებისა...

თითქოს იცოდა ჩემმა შვილმა, რა ამავი ჰქონდა მიხაკო ყოფიანს დადებული ჩემზედ: „დაწარმუნებული ვარა, რომ გეწყინება ეს ამბავი—მწერდა ჩემი შვილი,—როგორც ჩვენ გეწყინაო, რადგანაც ვიცით, რომ კარგი კაცი იყო და გიყვარდაო“.

თუ მიყვარდა...

როგორ არ მეყვარებოდა პატოსანი, კეთილშობილი და ჭკუიანი ჩემი მიხაკო!..

სასწავლებელი რომ დასრულა, რაკი მამაჩემი იცნობდა და იცოდა, რა სამაგალითო ყმაწვილი კაცი იყო მიხაკო, დამჯდარი ხასიათის პატრონი, მშრომელი და გონიერი,—მოიწვია ჩემს მასწავლებლად.

მანამდის მყავდა მასწავლებლები ფრანკლები: მოსიო გილიარი, მოსიო ტურეს, მოსიო დორგი... იმათ ხელში ვერ ესწავლობდი კარგად, უფრო ვცელქობდი, ვეყოლებდი და სასაცილოდ, მასხარად ვივადებდი ჩემს მასწავლებლებს. რვა თუ სხვა წლის ბავშვი ვიყავი და მეგონა, რომ სწავლა მასხრობაა...

მამაჩემმა შემატყო, მეგონა, რა ხასიათი დავიჭირე სწავლაში, დაითხოვა ის ფრანკლები და ჩაბარა ჩემი სწავლება თავის ბიძაშვილის შვილს, მიხაკოს.

მიხაკო იქნებოდა მაშინ ერთი ოციოდე წლის ყმაწვილი კაცი.

ვითომ გულში იყო ეს ამბავი, ისე მახსოვს პირველი „გაკვეთილი“ მიხაკო ყოფიანისა.

ყოველსაფერის საგნები, რაც 8 ან 9 წლის ბავშვს სჭირდება, მიხაკოს უნდა ესწავლებინა ჩემთვის.

იცოდა, რომ გულისყური არა ჰქონდა სწავლისა, იცოდა, რომ ხშირად, როდესაც ფრანკლები მიამბობდნენ რასმე, მე სრულებით ყურს არ ვუვადებდი...

დამიწყობ პირველად ფიზიკური გეოგრაფიის სწავლება.

მიჭო ხელი ამბავსა, რა და რა პლანეტები უფლის გარს მხვება, თან მიამბობდა, თან მიხატავდა ქალღმებელ პლანეტების საეაღ გზასა, თვით პლანეტებსა, მზის სისტემასა და სხე.

თვალები გავაჭკიტე; იმისთანა გულისყურით ვუვადებდი ყურსა, რომ ვერ შევიტყე საათ-ნახევარი როგორ ვავიდა. რომ გაათავა, ადგა და მითხრა, დღეისათვის კმარაო. მე კალთაში მოვიკედი ხელი, მოიცადე, ჯერ არ წახვიდე, კიდევ მიაბე რამე, კიდევ მასწავლე...

მითხრა, ამ საღამოს მოვალ და ცა თუ ღრუბლიანი არ იქნა, გაჩვენებ ზეცაში ზოგიერთ პლანეტებსაო...

ვეცხეწე ღმერთსა, ცა ღრუბლიანი არ ყოფილიყო იმ საღამოს...

საღამოს მოვიდა, მე ეტრადი სიხარულითა, შორიდან დაინახე, რომ მოდებოდა, მივეგებე და იმ დღიდან მიხაკოც შემეყვარდა სულით და გულითა, სწავლის ხალისიც მომეცა...

მეორე დღეს ავად გამხდარიყო, ვერ მოვიდა. თავისი უმცროსი ძმის, ჩემი სხენია ნიკოლოზის პირით შეგვატყობინა, დღეს შუშლოთა ვარა... მე ბევრი ვიტყვი და მხოლოდ მაშინ დავშეშდი, როდესაც მამაჩემმა სიტყვა მომცა, ხედავ მე თითონ წავალ მიხაკოსთან და მოგიყვანაო.

ახლა, ამ 1892 წელს მომიხდა მე მოგზაურობაში სხვათა შორის ჰოლანდიის დედა-ქალაქს ამსტერდამში ყოფნა. გავედი ერთხელ იქვე მახლობლად მდებარე ერთი პატარა ქალაქის სანახავად: ეს ქალაქი ბროკია (Broek). ამ ჰოლანდიის პატარა ქალაქში გამასხნდა ერთი გაკვეთილი მიხაკო ყოფიანისა: სწორედ ოც-და თექვსმეტი წელიწადია მას აქეთ; გეოგრაფიის მასწავლიდა, როდესაც ათი წლისა ვიყავი და სხვათა შორის ერთხელ ჰოლანდიის ხალხისა, ყოფა-ცხოვრებისა, წესების და ჩვეულებების ამბავს მიამბობდა. მომიყვა ერთი ჰოლანდიის პატარა ქალაქის ბროკის ამბავს, რომელიც მთელს ევროპაში და მთელს დედამიწაზედ გათქმულია გასაოცარი სიწმინდითა, სისუფთავით და სიფაქიზითა. ახლა რომ მომიხდა ამ ბროკის ნახვა, სწორედ რაც ამ ოც-და თექვსმეტის წლის წინედ ჩვენმა ძვირფასმა მიხაკომ მიამბო, ჩემი თვალთი ენახე და სწორედ ისე იყო, როგორც იმან მაშინ გამომიხატა...

მასწავლიდა მთელი ერთი წელიწადი, ან წელიწად-ნახევარი, სანამ თბილისში იდგა.

რასაც გაკვეთილს მომცემდა მეორე დღისათვის სასწავლებლად, როგორც შემოდებოდა, რომ არ მესწავლა კარგად და საფუძვლიანათა: კარგად რომ არ ვისწავლო, მიხაკოს ეწყინება-მეთქი, ვფიქრობდი და

რომ მიხაკოს არ ეწყინოს, უნდა ვეცადო, რაც ჯანი და ღონე მაქვს, კარგად ვისწავლო მეტი, ვამზობდი ჩემს გულში...

და წარმოიდგინეთ—ართომეტრია, რომელიც მანამდის ჭირივით მძულდა, შემოიყვარდა მიხაკოს ხელოში; შემოიყვარდა გეოგრაფია, რომელიც მანამდის ყოველთვის მძინებდა ხოლმე; შემოიყვარდა ყოველის ფერი, რასაც მიხაკო მასწავლიდა და იმის ხელში ყოველისფერი მტხლისებოდა.

მამა-ჩემმა რომ ნახა, დაეწყე სწავლა, როგორც იყო; დამიყენა ფორტეპიანოს მასწავლებელი მოსიო სიმონ, ხატის მასწავლებელი პოლიდორ ივანიჩ ბაბევი და ფრანკუზული ენის, მოსიო კიკაბოა, ასე რომ მიხაკოს გარდა მყუდლე კიდევ სამი მასწავლებელი მაშინ, როდესაც ესენი ეუბნებოდნენ მამა-ჩემსა ჩემზედ, რომ კარგად ვსწავლობდი და გულისყურიც მქონდა, — მამა ჩემი იძახდა! «ჯან ჩემს მიხაკოს!» და ერთხელ დედა-ჩემს რომ ეკითხე, რას ნიშნავდა ესა, აპხსნა, რომ მიხაკოს მიზნებით სხვა მასწავლებლების ხელშეწყობა კი დაეწყე კარგად სწავლა.

როგორც ზემოთა ვთქვი, წელიწადი, ან წელიწადნახევარი მასწავლიდა მიხაკო... მერე საღდაც თბილისის გარეთ გაამწესეს და თბილისში მხოლოდ დრო გამოშვებით მოდიოდა ხოლმე. როდესაც მოვიდიოდა თბილისში, რასაკერაველია ჩვენთან წმირად მოდიოდა ხოლმე.

მასობეს, რა მიხაროდა ყოველთვის, როცა შევითვალბოდი, რომ მიხაკო მოვიდა მაშინვე გავექანებოდი მამა-ჩემის კაბინეტში, მოეუჯღღებოდი გვერდით მამა-ჩემს და ეუფლებდი ყურსა იმისა და მიხაკოს მუსიასა.

მაყვარდა, როდესაც ან მამა-ჩემი მოუყვებოდა მიხაკოს ამბავს რასმე, ან მიხაკო დაუწყებდა მამა-ჩემს დღეებში და დაწერილებში თავისი ნახულის, ან ნასაქურის ამბავსა. ლაპარაკი იცოდა გონიერული, დალაგებით.

თუმცა მე ბევრი რამ იმათი მუსიიფიდან არ მესმოდა (ათი, თერთმეტი წლისი იყავი), მაგრამ მიანც ძალიან გულ-დასმით ეუფლებდი ყურსა, არ ეშორებოდა სანამ ჩვენთან იჯდა მიხაკო და თუმცა არ მესმოდა წმირად რასაც მამა-ჩემს უამბობდა, მარტო იმის ხმის სმენით ვსტკებებოდი...

გავიდა ერთი თორმეტობდ-ცამეტობდ წელიწადი, როდესაც დებრუნდი პეტერბურლიდან, ანუ

უკეთ ვთქვით, როდესაც დამბრუნეს პეტერბურლის უნივერსიტეტიდან, მიხაკო ყოფიანი თბილისში იდგა.

ჩემი მოსვლა, ან უკეთ ვთქვით, ჩემი მოყვანა თბილისში იმან მამა-ჩემზედ უწინ შეიტყო და შეატყობინა მამა-ჩემსა. დედ-მამასთან რომ მივედი, დაშხედა შინ დედ-მამასა და ჩემს დას ელენეს გარდა (რომელიც იყო მაშინ 14 წლისა) ჩემი ძვირფასი მიხაკო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ სისხლი მიდუღდა, ვეძიებოდი, შეგვეძლო მე და ჩემს ამხანაგებს მრთელი ქვეყანა გადაგვეტრიალებინა... თითქმის, ცეცხლი მოდებოდა გვერდსა, ელაპარაკობდით და ელაპარაკობდით წაღმა-უტყლმა ყოველისფერზედა და ბერესაცა ვეძიებოდი, რომ ლაპარაკით ქვას გავხეთქავდით...

რაკი მიდუღდა სისხლი, სათქმელი, სალაპარაკო და განსაზიარებელი ბევრი მქონდა და მსმენელნი კი, ვინც შემხედებოდა ხოლმე, ილაღებოდნენ (მოგეცა სიცოცხლე!) ჩემი წაღმა-უტყლმა ქადაგებითა, ორ მსმენელს გარდა: მამა-ჩემი და მიხაკო ყოფიანი ყოველთვის ისმენდნენ ხოლმე ჩემს ლაპარაკსა და ყოველთვის მეგობრობდნენ, ამხანაგურად და ძმურად მეტანებოდნენ.

ბიჩევი ან ჯიუტი, ყინიანი ან ჭინჭლიანი, ამხირებელი საუბარში, არასოდეს არ ყუოფილვარ და ამიტომ წმირად ჩენი ბასი იმითი თავდებოდა, რომ ვეთანხმებოდი ამ ორს ჩემს უფროს მეგობარსა. (მამა-ჩემს ყოველთვის მეგობრობდა ეჭირა თავი ჩემთან და აკრთავდა ჩემს დას ელენესთან).

წმირად დავბრდი მიხაკოსთან და რაც გულის მიღებოდა, რაც მწუვავდა და ცეცხლს მიკიდებდა, წმირად განუუზიარებდი ხოლმე, წმირად გულიდან ამოველაგებდი.

წმირად მე და მიხაკოს მთელი საღამო ხუთი ან ექვსი საათიან მოყოლებული შეუღამდმდის ზაასში გავეტარებოდა. წმირად იმისი აზრების სიმართლით დარწმუნებული გამოვეთხოვებოდი ხოლმე მთორე ნახებდის...

გულით ვსწუმებარ, რომ «სხვა-და-სხვა მიზეზების გამო» ან შემოძლია დაწერილებით გვიამბოთ, რა-და-რა საგანზედ გვექონდა ზაასი... მხოლოდ ერთს ვიტყვი: სხვა რომ ყოფილიყო მიხაკოს ალაგასა და რომ შეხედებოდა ჩემთან, ესე იგი მღუღარე და მღუღარე ახალგაზდასთან ზაასი, არა მგონია, რომ იმდენი მოთმინება ჭქონოდა და ისე ძმურად და მეგობრობდა მომქცოდა.



მამა-ჩემთან და მიხაკოსთან ხშირმა საუბარმა და ბასბა ვადამაყენა იმ ყმაწვილური და უსაფუძვლო გზიდან, რომელსაც სტუდენტობაში დავადექი და რომელსაც შევძლო ძალიან შორს და ძალიანაც მოშორებულად წავეყვანიე, რომ არ დამეშალა იმ გზით სვლა... სიკეთე არაფერი გამოვიდოდა არც ჩემთვის და არც არაუხსენისთვის, იმ გზით რომ მეგელო... ცდილობდნენ იმისთანა გზაზედ დავეყენებო, რომ ხვირი გამოსულიყო რაიმე... თუ მაინც არაფერი გამოვიდა თქვენი მონა და მოსამსახურისგან, ეს მამი-ჩემის და მიხაკოს ბრალი არ არის...

მიხაკო ყოფიანის რჩევით გავმართე ქეიშხეთში (1869 წ.) სახალხო სასწავლებელი და სრული ერთი წელიწადი ვასწავლიდი ერთ ოციოდ ბევშეს ქართულს წერა-კითხვასა, ერთიმეტიკას და სხვ. მიხაკოსევე რჩევით ერთ დროს დაიწყო თანამშრომლობა მაშინდელს ვაზ. „დროებაში“, ეხმარებოდი რითაც შემიძლო განსვენებულს სერგეი მესხსა („დროების“ რედაქტორს), მიხაკომევე გამამწესა ტფილისის „ოკრუჟროი სულში“ კანდიდატად სამოსამართლო თანამდებობისა, იმისავე თხოვნით თავმჯდომარეს თანაშემწე ვ. მ. გარბოვისკი მანდობდა ხოლმე ბრალდებულების დაკვას.

როდესაც აღვოკატობა დაიწყო (1871 წ.), ხშირად შემხედვებოდა ხოლმე მძიმე საქმე იმისთანა, რომ არ ვიცოდი, მომეკიდნა ხელი თუ არა. ჩემის აზრით, სანამ აღვოკატი მოჰკიდებს ხელს საქმესა, უნდა ასწონოს და დასწონოს იგი, აუჯერ გაზომოს და ერაზხელ გასკრას, ესე იგი, უნდა თითონ გამოიკვლიოს საქმიდან—მტყუანია თუ მართალი ის კაცი, რომელსაც უპირისპირად დამცველად დადგომას, ერთი სიტყვით სანამ აღვოკატად, ანუ დამცველად დადგებოდეს, უნდა თითონ შეიკმუნეს მსაჯულად...

ხშირად ამისთანა შემთხვევაში მივბრბოდი მიხაკოსთან, მოვეუწყებოდი დაწერილებით, საქმე როგორ იყო, ეუაზობადი ყოველისფერის საქმის გარემოებას და ვკითხავდი: მოგვიკოდა ხელი თუ არა? შენის აზრით ეს კაცი, რომელიც მთხოვს დამცველად დაუდგე; მტყუანია თუ მართალი? მიხაკო გულ-დასმით მიგდებდა ყურსა, მოისმენდა ხოლმე ჩემს ნაამბობს თავიდან ბოლომდის, სიტყვას არ გამაწყვეტინებდა და ბოლოს მეტყუად ხოლმე თავის აზრსა ვადაპტირის და ვადაწყვეტილს: მოჰკიდე ხელი, ან უნდა იყოს მტყუანი მაგ საქმეში ეგ შენი კაციო, ან თუ დაანებებ, ნუ მოჰკიდებ ხელსა, ნამდვილი მტყუანია ეგ კაცი მაგ საქმეშიო...

საკვირველი სინდისის პატრონი იყო და საკვირველად გრძნობდა ყოველთვის კაცის სიმაართეს და სიმტყუნესა.

მიხაკო ყოფიანი იყო უფროსი შვილი ზაალ, ანუ ზალიკა ყოფიანისა. ზაალ იყო ბიძაშვილი მამი-ჩემისა, ესე იგი, ზაალის მამა და მამი ჩემის მამა ძმები იყვნენ. მიხაკოს ჰყავდა კიდევ ორი ძმა: ნიკოლოზი, რომელიც გადაიცვალა, როდესაც ოციოდე წლისა იყო და სოლომონი, რომელიც დიდი ხანია, რაც ქვემო ქართლშია ჩასიძებული.

სწავლა მიიღო მიხაკომ ერთს ტფილისის სასწავლებელში, რომელსაც ეწოდებოდა კავკასიის სამიჯნაო სკოლა (Кавказская школа межевщиков). დაასრულა სწავლა პირველმა, ესე იგი, მოსწავლეთა შორის იყო პირველი და უკეთესი. რამდენსამე ხანს იყო გამმიჯნაველ (ზემლეყვარად).

ე. პ. სტარციკომ რომ გავართა სამიჯნაო კომისიები, თითო კომისიაში ერთი სამოსამართლო წევრი უნდა დანიშნა და ერთი სამიჯნაო წევრი. მოუყარა თავი ყველა სამიჯნაო მოხვლეებს, რომელიც იყო, მგონია, ას ორმოც-დაათამდის და მიანდო იმათ თითონ ამოერჩიათ ერთ შორის ხუთი, რომელიც ამხანაგების აზრით უფრო ღირსეული იყო კომისიის წევრად დანიშნისა. ამ ხუთს უკეთესთა შორის ამოირჩიეს მის. ყოფიანი და არც ერთს ხუთთავანს არ ერგო იმდენი ხმა, რაც მიხაკოსა...

შემდგომ სამი თუ ოთხი წლისა დანიშნეს თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად.

მერე—კავკასიის სახაზო რუკების დაწესებულების უფროსად (Начальникомъ Кавказской Чертежной) ღ ბოლოს თერგის მხრის მმართველმა მ. ტ. ლორის-მელიქივმა დანიშნა თერგის მხრის გამიჯნვის უფროსად (Начальникомъ меже и части Терской области). იგი დაღვა საცხოვრებლად ე. ქალაქიკავაზში. უკანასკნელ დროს მიიღო ლენერლის ჩინი.

მამი-ჩემის პირველი და უკეთესი მეგობარი იყო. რაც ჩემი თავი მახსოვს, ბევრი ცვლილება მოხდა ორმოცი წლის განმავლობაში: ზოგი, რომელიც მამი-ჩემის მეგობარი და პატივის მცემელი იყო, განშორდა და აღარ სცნობდა მამა-ჩემს, ზოგი მახლობელი ნათესაეი (და ძალიანაც მახლობელი, ძალიანაც ნათესაეი) გაუტეტბული ჰყავდა დიდ-ხნობით...

მიხაკო ყოფიანი ერთგული მეგობარი იყო მამი-ჩემისა, ყოველთვის უტყუელი: ყოველისფერი და სუტყელა გამოიცვალა, მხოლოდ გული მიხაკოსი



## მ ა ტ ი ა ნ ე

დარჩა უტყველად მოსიყვარულე იმისი „ბიძა-დიმიტრისადმი.“

მიხაკო ყიფიანი ხშირად ამბობდა: „ბიძა-ჩემი დიმიტრი ჩვენი გვარის დამაშვენებელი არისო.“ მ. ტ. ლორის-მელიქიძემა, რომელიც დიდი მეგობარი იყო მამი-ჩემისა, ერთხელ უთხრა მამა-ჩემს: ეს ჩვენი მიხეილ ზალიძი სწორედ ღირსეულად ატარებს შენს გვარსაო.

მშრომელი იყო საკვირველი.

თავის ნაწილში ყოველთვის ბევრი ჯაფა და შრომა ჰქონდა და მეორე ამისთანა მშრომელი ძნელად მოიპოვებოდა სადმე...

მაგრამ ამასთანავე დროს შოულობდა და ბევრსაც შრომობდა ქართული მწიგნობრობისათვის და ქართული სასწავლებლებისათვის. ყმაწვილობაში შეადგინა მშენიერად შემუშავებული ართიმეტყია (ქართულად), რომლისათვის, მეტადრე ტერმინების ვადმოთარგმნისთვის ბევრი იღვაწა; აგრეთვე სწერდა ქართულ ჟურნალებისთვის და სხვათა შორის „საქართველოს მოამბეში“, რომლის რედაქტორად იყო თ. ილია ჭავჭავაძე. თავის ნაწერებს აწერდა ჩიტორელიძის ფსევდონიმსა. — შეადგინა აგრეთვე ბანი ვებტანგ თულაშვილის თანამშრომლობით ქართული რუსკა საქართველოსი... მის საუკეთესო შრომად უნდა ჩაითვალოს ქართულ ენაზედ შედგენილი გეომეტრია.

წერა-კითხვის ვამაერცელებელი საზოგადოების დაარსებაში დიდი მონაწილეობა მიიღო და აგრეთვე დიდს მონაწილეობას იღებდა ამ საზოგადოების საქმეებში.

იყო ერთი უკეთესთაგანი შეილი საქართველოსი, ერთი უკეთესთაგანი მშრომელი და ყოველგან უყვარდათ ეს სიკეთის და სინათლის მთესველი, ყოველგან პატივისცემით იხსენებდნენ იმისს სახელსა.

რაც უმჯობესი იყო ჩვენს გვარში, რაც ამშვენებდა ჩვენს გვარსაცა და მთელს ჩვენს ერსა, დიმიტრი ყიფიანი, მიხაკო ყიფიანი, მოგვაცლდნენ, აღარ არიან, განგეშორდნენ სამუდამოდ... უკეთესნი ვინც იყვნენ ჩვენ გვარში წაიდნენ... ვინც დაერჩით, რა უნდა ექნათ?... ჩვენი შეილების და ჩვენი მოძმეებისათვის იმაზედ უკეთესს რას ვიხამთ, რომ ვეცადოთ განვცოცხლოთ მათი ხსოვნა!!!.

ნიკოლოზ ყიფიანი



ახეთიდან თან-და-თან უფრო სამწუხარო ამბები მოდის; უწყალო ზამთარს საშინლად დაუზიანებია, როგორც მსხვილ-ფეხი საქონელი, ისე ცხვარი. ამ უკანასკნელის პატრონს ბევრს იმის მეათედიც არ დარჩენია, რაც შემოდგომაზედ ჰყვანდა. საქონლის ზარალი თითქმის ყველას თავს იყო ამ საშინელს ზამთარში, მაგრამ კახეთს სხვა განსაკუთრებული უბედურება სწყევია კიდევ; იქ ლამის სიმშობობა ჩამოვარდეს. სიმშობობა ნამდვილი, საერთო, თავის შემადარწუნებელი სურათებით და თავს გვარ ზედ-დატანებული სენით. პურის ფსამა ისე იიწია თურმე (ფუთი ფუჭილის ფსი ცხრა აბაზამდე და ორ მანეთამდე ასულა), რომ ხალხს ილაჯი გასწყვეტდა, ღონე გამოღვევია; პირველში იმდენი შეძლება კიდევ ჰქონია, რომ პარკებითა და ხურჯინებით მაინც ეხიბნა ფუჭილი დამწულს ოჯახში, როცა ზიანდა დადი ტომრებითა და საპალნეებით იყო საჭირო, მაგრამ ახლა ეს მცირე საშუალებაც მოსპობია და ხალხი პირუტყვივით მიწდარს შესწერებია: დაეძებს მიწდარსა და ორლობებში თურმე ბალახ-ბუღალახს, ქინძარს, მხალს და იმით იკვებება. მაგრამ ეს მეორედ დაბრუნებული ზამთარი, უტყველია, კახეთსაც გაკრეად კლანქს, ამ მცენარეობასაც შეუთუქავედა და ვინ იცის, ახლა ხალხი რა მდგომარეობაშია...

დიდი ხანია ამაზედ უნდა გვეფიქრა, პირველსავე ნიშნებზედ წამლისთვის გვეზრუნა. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ მალე ზაფხული დადგება, თან მოჰყვება სხვა-და-სხვა ვადამდები სენი, რომელნიც მწყობრად ხელი-ხელ გაყარდნი დაუწყებენ ხოცვას ჩვენს ხალხს და, რასაკვირველია, იქ უფრო მარჯვედ მოიქნევენ ცელს, იქ უფრო მედგრა და მხენდ შეესევინა, საცა ხალხი უპიძისად სიმშობობით ღონე-გამოღვეულია, ქანც-აწყვეტილია.

პირველსავე ნიშნებზედ, ვამბობთ, უნდა ზრუნვას შეედგომოდით, წამალი რამ აღმოგვეჩინა ამ საქმეში უნდა მონაწილეობა მიეღო ყველას, ვისაც კი ხმა გაუვა და საზოგადოებაში ვაეღვნა აქვს მოპოვებული. თავადაზნაურთა წინამძღოლთ პირველად უნდა მიექციათ ამ საერთო უბედურებისათვის ყურადღებამ და საშეელი მოენახათ.

რა თქმა უნდა, რაკი ერთ ალაგას საზრდო აკლდება ხალხს, იქ უნდა მოენახათ, სადაც ეს საზრდო შენახული გვეგულება, ან სადაც იმდენია, რომ ხალხი ადვილად მოიწარჩენებს. პირველად სოფლის მალაზიებისთვის უნდა მივეყვართა, რომელნიც ვანგებ ამ გვარ გაჭირების დროს ხელის გასამართავად

არიან დაფუძნებულნი. მაგრამ სამწუხაროდ იმ სოფლებში, საცა პური უფრო ძვირია და ხალხი უმეტეს გაჭირვებაშია, პურის მაღაზიების ავლა-დიდება გაყიდული აღმოჩნდა შემოდგომასწვდევ და ფული სოფლის სახელზედ ბანკში შეტანილია. იტყვიოთ, რა ეუწყათ, შესაძლოა ამ ფულის გამოტანა და პურის ისევ ყიდვა; მაგრამ სამწუხარო; ეს არის, რომ ფასმა ერთი სამად იმატა და სამ აბაზად გაყიდული ფული თავისი პური სხვა-და-სხვა ჩარჩებთან და ალაფებთან თავმოყრილი, ხალხმა ახლა ცხრა აბაზად უკან უნდა დაიბრუნოს.

ეს კიდევ არაფერია: შემოდგომასწვდევ ვერ ვივლუთმისნეთ, წინდაწინვე ვერ ავწონ-დავწონეთ ჩვენი გაჭირვებული ყოფა, მესამედ ფასად გადაუყარეთ ჩანახებიო და კასრობით სოფლებურად მოგროვილი ჭირნახული ოთაროვებსა და ოსკანოვებსა, ახლა რაღა დაგვემართა, ახლა მაინც განა თელები ვერ აგვეხილა? ახლა მაინც მოვალენი არა ვართ, სადაც კი მგით პური მოიპოვება გასასყიდად დანიშნული, აღარ ჩაუყარათ ხელში უშუამავლებსა და ჩარჩებს და პირდაპირ მივაწოდოთ იმათ, ვისაც ეს პური არსობით პურად მიანჩია, ყოვლად საქირო საზრდოდ და არა უომისოდაც მსუქანი ჯიბის პირთამდე გასაცემს საშუალება! ჩვენი ცხოვრების მაგალითები კი სულ სხვა ამბავს მოგვითხრობენ, რომ ჩვენი ქვეყნის სატკივრისთვის გული არა გეტკივა, იმის საზრუნავზედ არა ვზრუნავთ და „სხვაგან ქრის ჩვენი გონება“, ჩვენი წადილი, ჩვენი მისწრაფება.

აი, რასა სწერენ ერთ რუსულ გაზეთს ზემოქართლიდან ს. ნაბახტევიდან. მთელი სოფლის მაღაზიის პური უყიდნია ვიღაცა პეტრო ალაფს ფულით სამ აბაზ უხალთუნად სოფლების სურვილის წინააღმდეგ და საოფლელები პირიქით დაუფლოლებით მთელი ქირანახული ალაფს სტანკიანზე ჩაუტანდა ..

რომ ვიანგარიშოთ და დაჯდებოდა ამ პურის კახეთამდე გადატანა, მივხედებით, რომ კახეთში ალაგობრივ შესაძლო იქნებოდა მანათად, ან ზეთ აბაზუხალთუნად მისი გაყიდვა და ეს ღონისძიება რა შედეგათს მისცემდა კახეთის ხალხს, რამდენს მოსწმენდდა ცრემლს, რამდენს დედას გაუჭარებდა ვარაშს, დამშუულ შვილების მაყურებელს! მარტო ერთი და ორი სოფელი, რასაკვირველია, ევრას განდებოდა და ევროპარაინ ბიკსტრებად, მაგრამ თუ ერთი სოფელს სხვაე მოჰყვებოდა, თუ მთელი მაზრა გაუწყოლებდა ხელს შევლისას მეორე დამშუულ მაზრას, თუ ჩვენი საზოგადოება ერთიანად მიიღებდა მონაწილეობას ამ საქვეყნო საქმეში, მუქუსუბუქდებოდა ტანჯვა ჩვენი ქვეყნის ერთს დაზარალებულ კუთხეს, და მეორეს

მის დაზმარეს მიეცემოდა იმედი, რომ თუ კვლავ ამისთანა ბედი მე დამატყდა, ახლა სხვა მიწეულის, სხვა გამომართეს ხელს და მაშინ დამტკიცდებოდა ჩვენი ხალხის თქმულება, რომ „მაშინ უნდა მძა და თვისა“, როცა კაცს, საზოგადოებას, ერს ამისთანა გაჭირება დაადგება.



ჩვენ არ ვეთანხმებით იმათ, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ფეხზე დაყენება, მამულეების ხელში დაჭერა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა სამეურნეო საწარმოებლებს დაეარსებთ და მათის დახმარებით სწავლულს მეურნეებს მოუყვანთ ჩვენს ქვეყანასაო. ჩვენ ერთხელაც გვითქვამს და კიდევაც გაკერით ვიტყვიოთ, რომ მეურნეობა მხოლოდ ერთი დარგია ქვეყნისა და ერის წარმატებისათვის! რომ რომელს ერსაც კი არა ჰყავს საზოგადო სწავლით შეტურთილი პირნი, აღმინისტრაციის მმართველნი, ექიმები, ინჟინერები, იურისტები და სხვა მოწილენი, იგი იძულებული იქნება ბოლოს სცვის მოხარკედ, სევის ხელ-შემაყურებლად გადაიქცეს. მაგრამ ამისთანავე არ შეგიძლია სრული თანაგრძობობით არ აღენიშნოთ წადილი ჩვენი საზოგადოებისა, როდესაც საზოგადო განათლებასაც ხელს არ უშეგებს, შეძლებისამებრ დანახრებას უწყებს და თან ცილობის სამეურნეო სწავლის დაუფხმებასაც.

ამის გამო ფრიად სანუგეშოდ უნდა ჩაითვალოს ეს მისწრაფება ჩვენი ხალხისა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ კუთხეში; ჩვენი ვიცით, რა თანაგრძობობით მიეგება საზოგადოება ბ. წინამძღვრის შვილისაგან დაარსებულს სკოლას ღმრთობის მახრამი და როგორ მალე ეს თანაგრძობობა ფულადაც დაუხურდა და მარტო ბანკიდან ყოველ წელს 5000 მანათს აძლევს შემწეობას; ვიცით აგრეთვე, რომ ქუთაისში დაარსდა ამისთანავე სკოლა, შერბოდა მზად არის, ფერმაც და ახლა გამგეს ამორჩევაზედლა არის საქმე მიმდგარი; სამეგრელოში სენაკის სათავადანჯანაურო სკოლის ინსპექტორის ბ. სამხონ ყიფიანის თავისნობით პირობენ დაარსებას სამეურნეო სასწავლებლისას, რაისათვისაც უგანათლებულესმა თავადმა სემეგრელოსამ საკმაო მიწაც შესწირა. გურიაში კიდევ ამას წინად ყოფილა კრება თავადანჯანაურობისა, სადაც გადაუწყვეტიათ ამ გვარის სკოლის დაფუძნება ოზურგეთში. პროექტი სკოლისა და პრიორანა შეუდგენია უწინდელს გამგეს წინამძღვრითი კარის სკოლისათ. ერმილენაკაშიძეს. ამ პროექტის აზრით პირველად მოწყობისა და გამართვისათვის დასჭირდება ხარჯი 12,100 მანათი და შემდეგ ყოველ წელიწადს 5350 მან. ეს

ყოველ წლიური ფული უკისრია თავად აზნაურობას, გლეხობას, ოზურგეთს და ასი თუმანიც უნდა მიეცეს სკოლას საერაობა ფულიდან. ეკანსიებიც ქალაქელთა, გლეხთა და თავდაზნაურთა შორის განაწილებული იქნება ფულის შეტანის კვალობაზედ, ეს ხარჯი გამოანგარიშებულია სამის სპეციალურ კლასისათვის; მოსახლადნებელი კლასები სკოლაში არ იქნება, რადგან იქ მიიღებენ მხოლოდ 14—15 წლის მოწაფეს სხვა ორ-კლასიან სკოლებში სწავლა-დამთავრებულს.

გორის მაზრის თავდაზნაურობასაც განუზრახავს ამ გვარიც სკოლის დაარსება. ორი წელიწადია, რაც იქაურმა მაზრის წინამძღოლმა ბნშა ი. სულხანიშვილმა ეს საგანი წარუდგინა გორის სათავად-აზნაურო კრებას გადასაწყვეტად და კრებამაც მოუწონა. საქმე იმაზედ იყო შემდგარი, რომ მარჯვე ადგილი არ იყო სკოლისათვის. ახლა, როგორც შევიტყუთ, გორის მაზრის თავდაზნაურობა შუამდგომლობს თურქი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანქთან, რომ თუქანსკენლმა ბანკის ხელში შერჩინილი შალიკოვისული მამული გადასცეს ჩვენის სკოლების კომიტეტს ამ გვარი სკოლის გასამართავად. ეს მამული მართლაც ყოველისფრით მოწყობილია ფერმისა და სამეურნეო სკოლისთვის. იგი შეადგენს ერთიან ნაჰერს ათას ოთხას დღეიანზედ ცოტა მეტს. მამული მდებარეობს სკრის სტანციასთან, შვიდ ვერსზედ გორიდან, მტკარზე. მამულში ეწინახი არის, ურწყა-სარწყაი მინდერებიც, ტყეც და ყოველნაირი მცენარე ხარობს ჩვენის ჰაერს შესაფერი.

ეს საერთო მისწრაფება, რასაკვირველია, საწუგეშა არა მარტო იმ შხრიც, რომ ბეერი სწავლა-შეძენილი მფორენ გვეყოლება. ჩვენ თვით ცოდნაზედ არა ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევთ სკოლის მიერ ბავშვის გაწვრთნას და ზნობის განსაზღვრებას. საწუგეშაობა ჩვენში ახლა მეურნეობა ისე დაყენებულია, რომ თუ პატრონი მუდამ თავს არ ახავს, არაფერი არა კეთდება-რა. მუშა თავის დამქარავებელს მტრობოთ თვითონ უტკერის და გაკეთდება თუ არა, ბეერი არ ენაღლება. თუ ჩვენი საბურთეო სკოლები იმისთანა ხელმძღვანელებს იშოვიან, რომ ცოდნასთან ერთად თავიანთ მოწაფეებს ზნობრივს მოვალეობასაც ჩააგორებენ, ქეშმარიტ ადამიანად გამოიყვანენ, მაშინ მათი დავალი ერთი-ორად გაძლიერდება, ერთი-ორად მეტს ნაყოფს მოუტანენ ერსაც და ქვეყანასაც.



მოახლოვდა მათი და გაწვევდა ტფილისის ხმონების არჩევნების საქმეც. გამოცხადებულია, რომ ეს არჩევნები მათის 16 უნდა დაიწყოს. პარტიები ახლავე ემზადებიან, სხვა-და-სხვა სასტუმროებში იყრიან თავს, კანდიდატებს ასახელებენ. მრავალ იმ წერო-

თა შორის, რომელნიც ამ საგნის შესახებ იწერება ადგილობრივ გაზეთებში ჩვენ შესანიშნავად და თანაგრძნობის ღირსად მიგვანჩია წერილი სოხუმურ ჟურნალის „მურჩისა“. ეს წერილი ამბობს, „უნდა რაიმე საშუალება ეიპოვნეთ, რომ დატკერეს ქეშაობა სხვა-და-სხვა ეროვნებათა შორის, რომელნიც ტფილისის მცხოვრებთ შეადგენენ და ამისთვის, გარდა იმ ხმონებისა, რომელი ამორჩევა საჭიროდ მიანიათ ყველა ხალხსა და პარტიას, დანარჩენნი ამოვიტოვოთ იმ უმთავრეს ერთა რიცხვთან შეთანხმებით, რომელნიც ტფილისში ცხოვრობენო, მაგ. თუ სომეხი 30000-ია რუსი 20000 და ქართული 25000 სამოცდა თხუთმეტ კაცს ამოვიტოვოთ 30 სომეხი, 20 რუსი და 25 ქართული და ყველა ეროვნებას მივინდოს თავისი კანდიდატი თითონ დასახელოსო.“

ეს აზრი ჟურნალის მურჩისა\* არ მოსწონებია ერთს აქაურს რუსულ გაზენს, რომელიც საჭიროდ არა სცნობს ხმონასთა ასე დანაწილებას და ჰქადაგებს; „რეიანი პატრონი იქ ამოუტოვოს ქალასა და რა ეროვნებასაც უნდა ეკლოწოდენ, სულ ერთიაო.“

ჩვენ კი გვეგონია, რომ თუ „მურჩის“ აზრს უწინა აქვს რაიმე, ეს უწინა არის, რომ მხოლოდ უმთავრესი ეროვნება მიუღია სახეში: რუსნი, ქართველნი, სომეხნი და სხვა წერილ ეროვნებათ კი უტარადლებას არ აქცევს. ჩვენის აზრით ქალაქის საბჭოში თავის წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს ყოველ ხალხს, რომელიც ქალაქში დამკვიდრებულია და შემთხვევით არ დაუღვია აქ დროებითი ბინა. მარტო ერთი ერის წარმომადგენლებით რომ ავსოვთ საბჭო, ეს წარმომადგენელი სულ რომ უზღალო პატრონებთან და ცოდნით იყვენ გათქმულნი, მაინც ისე არ იქნება, რომ ბოლოს საბჭოს ერთფერობა არ დაეკრება, ერთ მხარეს გაწევა, ერთის ყრასდამი მიკვირება. მართალია კარგად დადგენილი ქუხა ეკლესიისთვის არის საჭირო, კარგი სასამელი წყალი ყველას ერთ-ნაირად შეეცრება, კარგი ფარნები ყველას ერთი მუქით უნათებენ და ამ შემთხვევაში ეროვნებათა განსხვავება არაფერ შუაშია, მაგრამ ვინ იცის, რამდენი იმისთანა საგანი აღმოჩნდეს, რისთვისაც საჭიროა თავის ხალხის

ცოდნა და მის საჭიროების დაცვაყოფილება: მაგალ. განა სომეხმა ან ქართველმა იცის, როგორი ექიმი ექირეება ტფილისის ლარბ თათრის მოსახლეობას, რუსმა ან სომეხმა იცის, რომელი მასწავლებლის მიწევა აჯობებს ქართველებისათვის დაარსებულს სასწავლებელში? ან კანანი რომ საზღვრავს უფიების და თათრების რიცხვს რუსეთის საბჭოებში, განა ეს მარტო სარწმუნოების განსხვავებით არის გამოწყვეული? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შემთხვევაში სარწმუნოებრივს მიზეზს გარდა სხვა უფრო ღრმა, ეკონომიური მიზეზი მოქმედობს და, აი, რის გამოც სრულის თანაგრძნობით მივეცემებით პროექტს ჟურნალის „მურჩისა“, რომელსაც მხოლოდ შეუძლია ქალაქის ერთა შორის მდებარე ქეშაობა მოსოს და გამოიწვიოს სასარგებლო თვით-მოქმედება და თავის-თავის პატრონობის ნიჭი, ურომლისოდაც ეცრა ადამიანი ვერ იალღამინებს, ეცრა ერი გერაეოგესის.



### დიდებული წადილი დიდებულის მოხუცისა

კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდნა მადლით ცხებულთ, მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული.

გ. იაკობაძე

**მ**ინ არის ეს დიდებული მოხუცი? ევროპაში ამ კითხვას ევრაისებან ვერ გაიგონებ. იქ თეთი-ულმა იცის, ყველას შეგნებული აქვს, თუ რომელს თანამედროვე გვაძს მიუძღვის ამ ყმადა კაცობრიობის წინაშე უდიდესი ღვაწლი, ვინ შეიშობა დამუქნარი დიდების შარავენდელი და ვის დაარქვა მადლიერმა ევროპამ ეს ფრიად სახარბიელო სახელი.

დიდებულ მოხუცად იწოდება არა ავსტრიის უხუცესი მინისტრი, არც პრუსიისა, არც საფრანგეთისა და არც ხმელეთის სხვა რომლისაზე სახელმწიფოსი. ეს სხივისანი სახელი არ აღირსეს არც მეოთხმოცე წლებში ჩამდარს რკინის კანცლერს—ბისმარკსა, რომელმაც თავისი სამშობლო—უკანასკნელი სახელმწიფო დიდ სახელმწიფოთა შორის გადააქცია უძლიერეს და უპირველეს სახელმწიფოდ მთელის დედა-მიწის ზურგზედ.

დიდებულ მოხუცად უწოდებენ ევროპაში ინგლისის საუკეთესო შვილს—უილიამ გლადსტონსა, რომელიც ამ უკანასკნელს ეძის კვლავ შეიქმნა მთავარი მინისტრად თავის სამშობლოში.

რითი დამსახურა ასეთი იშვიათი პატივი ოთხმოცდა ხუთის წლის გლადსტონმა?

თავისი ფრიად ხანგრძლივ მოღვაწეობის განმავლობაში მან განახორციელა ბევრი დიდებული აზრი, ბევრს სასიქადულო წადილს მიალწია, მრავალს მაინებელს წეს-წყობილებას მოუღო ბოლო და განიერი გზა გაუკავა პროგრესს, წარმატებას, თავისუფლებას, კეთილ-დღეობასა. სხვებს ხანი, მოხუცება, გონებას უსუსტებს, გულს უციებს, მხნეობას აკლებს, ლიბერალიზმისათვის ზურგს აქცეინებს, კონსერვატორად მხდის. გლადსტონმა კი მოხუცებაში შეიჩინა მამწიფლოური ძალა, სიმტკიცე გონებისა, გულისა, ხასიათისა და ლიბერალიზმიდან რადიკალიზმამდე გადავიდა.

გარნა ერთი წადილი გლადსტონისა უნდა ჩათვალოს უმთავრეს მის საქმედ, უძეირფესეს მარგალიტად იმ მარგალიტთა კონაში, რომელსაც წარმოადგენს გლადსტონის აუარებელი ნაღვანამოქმედარი. ამ მთავარს თავის წადილს გლადსტონი ახლა, თავის ღრმა მოხუცებულობის დროს ერთი სამად უფრო გულ-მხურავლედ ეკიდება, უფრო მომეტებულს მხნეობას და შეუპოვრობას იჩენს ბრძოლაში თავის უკეთილშობილესის მისწრაფების განსახორციელებლად.

რაში მდგომარეობს ეს უმთავრესი წადილი გლადსტონისა?

პასუხს ვიწყებთ ცოტა შორიდან.

ჩვენის დროის ფილოსოფიურის სისტემის შეხედულობით, რომელსაც ევოლუციონიზმი ჰქვია და რომელიც კვშიარტებად მიაჩნია თითქმის მთელს განათლებულს ევროპასა, მსოფლიო ისტორია წარმოადგენს მსეღვლობას მარტვიდან რთულისაკენ, მონაობიდან თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ, ბიუიერებიდან სათნოებისაკენ, უმცერებიდან სიბრძნისაკენ, მხეცობიდან აღამიანობისაკენ, ტანჯვიდან ლხენისაკენ, ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ. ეს მსეღვლობა უსრულიადან სრულისაკენ არის ფრიად ნელი, მშინად ტრარტმანებს, შეფერხდება ხოლმე, ხან ეკლასაც აუტკეცს; მაგრამ ამასთან იგი არის შეუპოვარი და მიმართულებას, გზას მას ევრაფერი ვერ დააკარგინებს. სისრულე აღამიანისა, საზოგადოებისა და მთელის კაცობრიობისა და საყოველთაო ბედნიერება უთუოდ დამკვიდრდება დედა მიწაზედ, თუ რაიმე კოსმოპოზმა, მსოფლიო მიზეზმა კაცობრიობას ბოლო არ მოუღო.


კაცობრიობას ამ სელაში ქვეყნიურს სამოთხისაკენ ყველაზედ მომეტებულად აბრკოლებს ზხელს უტარავს მონაობა, ერთი მხარეს მჰდის მტარავლად, მეორე მხარეს ნითად. ბატონი ირყენება, მხეცდება, მონა მიწასთან სწორად, უბა პროგრესის სრულ იად ჩერდება, ან რეგრესად, უკან-სელად იქცევა.

მონაობა ორ გვარია: წოდებათა შორის და ხალხთა შორის. პირველი მონაობა უფრო ადვილს უღელს წარმოადგენს შედარებით. ერთი ენა, ერთი ხასიათი, ერთი ჩვეულებანი, ერთგვარი სიმღერა-ლხინი, ერთგვარი მწუხარება, ერთგვარი სახმელ-საქმელი, ერთი სარწმუნოება, ერთი სამშობლო, ერთი სიტყვით მზგავსება სულისა და ხორცისა გლებთა და ბატონთა შორის მჰადებს ლომბიერებასა, რომელსაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ყმის დაცემა და გადატაცება თვითონ ბატონისთვისაც მახარალმებელია.

სრულიად სხვა ხასიათი, სხვა ზნე ჰქირს ბატონ-ყმობას ხალხთა შორის....

ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს ირლანდია.

ირლანდიამ დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა თავდაპირველად მეთექვსმეტე საუკუნეში და იქმნა შეერთებული ინგლისთან. გარნა ამ პოლიტიკურს ცელილებას აგრე რიგად უდი შედეგი არ მოჰყოლია. არც მცხოვრებთა რიცხვი, არც დოვლათი, არც კუუა-ზნეობა ხალხისა არ შემცირებულა. ირლანდია რომ გულ-ამოღებით შერიგებოდა ამ პოლიტიკურის დამოუკიდებლობის დაკარგვასა და მთელი თავისი ძალ-ღონე დამეჰყარებინა სრული შინაური თვით-მართებლობის დაცვისა და განმტკიცებისა-



უილიამ გლადსტონი

სიტყვას ამბობს ინგლისის პარლამენტში



თვის, მისი ბედის ჩარხი ისევ წაღმა იტრიალებდა, მაგრამ ის დაქინებით ცდილობდა განზორბოდა ინგლისსა, მოეპოვებინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და უწინდებულად ცალკე სახელმწიფო შეედგინა. ამ შეუპოვარი და წინდაუხუცადი ბრძოლის შედეგის გახდა, რომ ინგლისმა ამ საუკუნის დასაწყისში მოუხსრა ირლანდიას თვით-მმართველობა, დაუწყებინა დუბლინის პარლამენტი და ირლანდიის შინაური საქმეების მართვაც თვითონ იგდო ხელში. ირლანდიელი ვადაიქცენ ყმებად, ინგლისელები ბატონებად, და ამ ცეცხლივით მოჰყვა სრულიად სხვა შედეგი, ვიდრე პოლიტიკურის დამოკიდებულების დამყარებას რადენისამე საუკუნის წინედ. ოთხმოცი წლის განმავლობაში ამ ბატონ-ყმობის წყალობით ირლანდიაში ერთი ორად და სამად შემცირდა: რიცხვი ირლანდიელთა, რაოდენობა სახნავ სათვისისა, ეპირობა, ალბ-მიცემობა, ნაოსნობა, განათლება, ფაბრიკების და ქარხნების რიცხვი, დღევანთი, ერთი სიტყვით ირლანდია გადაიქცა ნახევარობით გაობრებული ქვეყნად; და ამავე დროს ერთი ხუთად და ექვსად იმატა ყველაფერში თვითონ ინგლისმა, რომელიც იყო თავისი თავის სრული ბატონი.

და, აი, ამ საშინელს და დამამბობელს სენსა, ამ ბატონობას ინგლისისას ირლანდიაში გამოუტყდა ომი უკეთესმა და უდიდებულესმა შვილმა თვით ინგლისისა — გლადსტონმა, რომელიც ავერ ათი წელიწადი მეტი იქნება, რაც დაუძინებლად იბრძვის: უმედური ირლანდიას დაუბრუნოს შინაური ბატონობა, მიანიჭოს თვით-მმართველობა, აღუდგინოს საკუთარი პარლამენტი და მხოლოდ პოლიტიკური კავშირი, პოლიტიკური ერთობა ირლანდიასთან აკარგინოს ინგლისსა. გლადსტონს მთელი თავისი მზებერნივი გონება, ოქროს გული, სახე მხურვალე კაცთ მოყვარეობითა, საარაკო გამჭვირვებობა და მყარებულო აქვს ამ დიდებულს წადილზედა. ამას წინედ სთქვა თურმე: ჩემთვის ჰომარული (ირლანდიის პარლამენტის აღდგენა) ყველაფერი იაო. როგორც მოხუცი სვიმონი მოუთმენლად ელოდა მაცხოვრის მოსვლასა, რომ გულ-დამშვიდებული გამოსთხოვებოდა ამ წუთის საფლოსა, ისე უთუტევი გლადსტონი ნატონის ირლანდიის თვით-მმართველობის აღდგენასა, ტანჯული ხალხის თვით მმართველობის განახლებასა, რის შემდეგაც იგი მზად არის სთქვას: აჲ განუტყევი მონა შენი, მეუფეო...

მსოფლიო ისტორიაში ტენდათ არა ერთს მაგალითსა, როდესაც მამულიშვილი თავგანწირვით იბრძვის თავის სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ვარნა კაცობრიობა პირველად მოესწრო იმ საოცარს და დიდებულს სანახევსა, რომ თითქმის ასის წლის მოხუცს უმთავრეს თავის წადი-

ლად და მხურვალე მისწრაფებად გაუხდია — მოსპობა თავისი სამშობლო ქვეყნის ბატონობისა დაპყრობის მხარეზედა, განთავისუფლება და გაბედნიერება ტანჯულის ქვეშევრდომი ერისა. თუ როდისმე ვისმე საბუთი ჰქონია ეთქვა, რომ იგი ასრულებდა მაცხოვრის მაღალს სწავლას: გიყვარდეთ არა მარტო თავისიანნი, არამედ უცხოენიც და მტერნიცა, — უმეტესი საფუძვლით შეუძლია სთქვას ეს გლადსტონმა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებასთან ერთად ღრმად აქვს შესწავლილი მაღალი სწავლა მაცხოვრისა, რომლის გაბრწყინებულს გონებაში და უბატონესს გულში მძურად მოთავსებულან ცოდნა-მეცნიერება და საწმენობა და რომლის დროშაზედ აწერია ბედნიერება არა მარტო იმის სამშობლოსი, არამედ სხვა ხალხებისაც და მთელის ჩაგრულის კაცობრიობისა.

დაიღ, კაცობრიობისა! ირლანდია მხოლოდ მახლობელი საგანია გლადსტონის მხურვალე კაცთ-მოყვარეობისა. ეს კაცთ-მოყვარება შორის შორის თავის ფრთებსა, უწყებს ედლით-კიდმდის და შეგებულხენის მივს უბადებს გულში ყველა ერსა: შევიწროებულსა, დაბრძვილებულსა, დამონაგებულსა: ერსა ინდოეთისას, სომხისას, ეგვიპტისას, ელზას ლორენისას, ბალკანეთისას, ევროპისას და აზიისას. საოცარი მოხუცი გამსქეპალუღია დიდებული წადილით — მოსპობა ბატონყმობა ერთა შორის და დაამყაროს ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება, ტანჯვა და ცრემლი შეამკიროს, ღებნა და სიხარული განაძლიეროს დედა მიწის ზურგზედ. სწორედ ამისთანა იშვიათს გვაშხედ არის ზედ გამოქალი ჩვენი ნიჭიერის პოეტის სიტყვები: „კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული, მის ღვაწლში მხოლოდ არს კეთლი, მით მხარე დამშენებული“.

გლადსტონსა ჰყავდა ღირსეული წინამორბედი. იგი იყო იმავე ინგლისის შვილი; ჩვენ ვიგულისხმებთ უფროსს პიტსა, ლორდ ჩატამად წოდებულსა. ეს სახელმწიფო გავიშეგობილი მაღალი კუთვით, რკინის ხასიათით და დემოსტენებრივი მჭევრ-მეტყველობით, იერიქონის საყვირივით ჰქუხდა ინგლისის პარლამენტში წარსულს საუკუნებში ამერიკის თვით-მართველობის დაღვისათვის, რომელსაც, როგორც თავის კოლონიას, ინგლისის პარლამენტი ძლიერ ავიწროებდა. როდესაც უფლება-ჩამორთმეული და ილაჯ-გაწყვეტილი ამერიკა აუჯანყდა თავის მიტროპოლიას და ეს სამუშებარო ამავე პარლამენტს აუწყა პირველმა მინისტრმა, უფროსი პიტი, წინამძღროლო იპოზიციისა, წამოხტა თავის სკამიდან და წარმოასთქვა: „მე სიხარულით, გულითადი სიხარულით ევეგებები ამერიკის აჯანყებასა. სამი მილიონი ხალხი, იმდენად მიმკვდარი თავისუფლებისათვის, რომ ხმა ამოუღებ-



ლიე დამორჩილებოდა მონურს უღელსა, რომელიც თქვენ მას კისრებდ დადგით, საშიში შეიქცებოდა თვით ინგლისის თავისუფლებისათვის, რადგანაც მთავრობა შეჩვეული ყოველთა უფლებათა დათრგუნვას ამერიკაში, თვით მებრძოლია მიც ხეირს არ დააყრიდა თავისუფლებასა... ხოლო როდესაც ინგლისის მთავრობა, შემდეგ ამერიკის გამარჯვებისა საფრანგეთის დახმარებით, იძულებული გახდა შეეტანა პარლამენტში წინადადება შესახებ ამერიკის პოლიტიკურის განცალკევებისა, სრულის განთავისუფლებისა, მოამკლვდა პიტს დაებადა გულში პატრიოტული შიში და მან მოითხოვა, რომ მიეტანათ იგი პარლამენტში. აქ სულ მზრძოლმა პიტმა შეიკრიბა თავისი უკანასკნელი ღონე და წარმოსთქვა ძლიერი სიტყვა წინააღმდეგ ამერიკის განცალკევებისა, რისგანაც იგი მოელოდა თავის სამშობლოს დასუსტებასა და ძირს ჩამოსხვისა იმ უდიდეს სიმაღლიდან, სადამდისაც მან მიიყვანა ინგლისი თავისი ხანგრძლივ მთავარ-მინისტრობის დროსა. მხურვალე და მჭევრმეტყველი მოსარჩლე სრულის თვით-მართველობისა, პიტი უარპყოფდა კოლონიის პოლიტიკურს განცალკევებას, როგორც მანვე მოვლენას ინგლისის ძლიერებისათვის. გლადსტონს არ მოუწოდებდა სიტყვის წარმოთქმა ირლანდიის პოლიტიკურის განცალკევების წინააღმდეგ, რადგანაც ირლანდიელთ კარვად აქვთ შეგებულნი, რა დიდი განსხვავებაა ევებერთელა და შორეულს ამერიკასა და ინგლისის გვერდით მდებარე მათ პატარა სამშობლოს შორის და ამიტომ იბრძვიან თვით-მართველობისათვის და ჭკუა ნასწავლნი, უარს ჰყოფენ პოლიტიკურს განცალკევებას ინგლისისაგან...

ისტორია მიუცილებლად დასახავს გლადსტონს პირველ გემადა მცხრამეტე საუკუნეში, უზენაესს მწვერვალად, პოლიტიკურ აბაზუხად. იგი დიდს პატივსა სდებს და ბრწყინვალე ნათელს აყენებს ერსა, რომელმაც იგი დაბადა, აღზარდა და რომელიც უმეტესობით თანაუგრძნობს თავის საუკეთესო შეილის დიდებულს წადილსა და დღეს, თუ ხელს განახორციელებინებს.

ამ განხორციელებას სასიქადულო წადილისას მახლობელს მომავალში აუცილებლად ჰხდის ერთი განსაკუთრებული თვისება ინგლისელებისა: მათ უკან დახევა, უკან ნაბიჯის გადადგმა არ იციან სრულიად, რეტროგრადობა მათ ლექსიკონში არ მოიპოვება; რაც ერთხელ უარ-უყვიათ, მის გაცოცხლებას იგინი არას დროს აღარ მოინდომებენ. საფრანგეთის ხალხი, მავალითად, ხშირად გადასდგამს ხოლმე ათსა და ოცს ნაბიჯს წინა; მაკრამ მერაფ-მესამე დღეს ბავშვური ქაჩაფშტობით ისკუძებს და უყანენ იქმს იმოდენა ნახტომს, რომ გამოვიღოს მანძილს იქით მოექცე-

ვა ხოლმე. ხმელეთის ევროპაში განუწყვეტილ ებრძვიან ერთმანეთსა: უკან-დახევა, რეტროგრადობა და წინ მსვლელობა, ლიბერალობა. ინგლისში ამ ბრძოლას ეწეა ნახაეთ. ეს საოცარი ქვეყანა ან შესვენებულია პროგრესის გზაზედ, ან წინ მიდის შეუპოვრად, ევაკუურად. ინგლისელი ან კონსერვატორია, ან ლიბერალი და რადიკალი. რეტროგრადი იქ ისე აღარ მოიპოვება, როგორც მგელი, რომელიც მცაქმეტე საუკუნეში გაჰქა ინგლისში.

ინგლისმა, რომელმაც მეთექვსმეტე საუკუნეში დაბადა უდიდესი მსოფლიო პოტიკა— შექპირი, უღრმესი და უფხიზლესი ფილოსოფოსი ბეკონი და მგრიდ-მეტეში გამოიყენა უბრველესი გენიოსი ნიუტონი, ჩვენს საუკუნეში აღზარდა უდიდებულესი პოლიტიკოსი, შეუღარბელი ერთა მოყვარე. მოდი და ნუ დასახავ ინგლისს მთელის კაცობრიობის მსვეურად, მეთაურად პროგრესის გზაზედ და ნუ ირწმუნებ მის ბრწყინვალე მომავალსა...

იაკობ სემონიძე

\* \* \*  
(შეხვეწილად\*)



რიან ქარნი,  
შესაზარნი:—

ხენი მწვერვალთ ხრიან;—  
სეედით კრული  
მტკიეა გული:—  
თვალნი ცრემლებს ლერიან.

წლებს ეატარებ,  
სულს ეიმწარებ:—  
არ სჩანს დასასრული.  
მხოლოდ ცრემლებს  
რომ ეღვრი ცხებლებს,—  
მომიღებება გული.

ფრქვეა ცრემლის  
ვერ გვიშველის—  
ოდნე გულის ეიფონებთ...  
წამის შევებას,  
სიტკბოებას  
მარად მოვიფინებთ.

ჩემებრ ბევრ სხვას  
ბედი რისხავს,—  
ენატრებათ შევება:—

\* ეს ლექსი სამღერაოა.—ამიტომაც ქართულად ნათარგმნი ორიგინალის ზომით (Віють втри).

არ არს ლალი  
 არც ბალახი,  
 მინდვრად რომ იზრდება.

მინდვრად არი,  
 არ აქვს ცვარი,  
 აწრობს მზე სილაში \*) :—  
 უსატრფოაო

ტანჯვა ეპოათ  
 ჩვენ ამ ქვეყანაში.

უმეგობროთ—  
 საპატიმროთ  
 საწუთრო გვექნება.

სატრფო არ გვეყავს—  
 ლხენა არ გვაქვს  
 და არც მოსიყენება.

სახე მტკბარო  
 მეგობარო!  
 საღ ხარ, ხმა გამეცი...



ქართველი ქალი.

უმწობით  
 ენები გრძნობით:  
 მო, ნუგეში მეცი!

ვის შეეცქირო,  
 თვალთ ეუმშირო,  
 ეინ მომეფერება,  
 როს დამტკობი  
 ვარდ-კოკობი  
 ჩემს თვალს ეწორება?..

მკანდეს ფრთები—  
 მოფერინდები,  
 სულ შერთან ეიქნები...  
 უმწობით  
 ენები გრძნობით,  
 შენზე ფიქრით ექნები.

სილოვანი

ქათრეგვლითა და სომქმთა ურთიერთობა

წერილი პირველი

**ს**ხლანდელს ჩვენს შინაურს მღვამარეობას რომ ჩაუტყვირდეს უცხო ქვეყნიდან მოსული კაცი, გვაოცდება. ეს რა ამბავიაო, წამოიძახებს იგი, რომ ამდენს ხალხში ორ კაცს ვერ ნახავ, ერთი მეორეს მეგობრობდეს, საერთო საქმეს სრული შეთანხმებით: ემსახურებოდნენ, გულ-ახლით ზურგი ზურგს ჰქონდით მობმული და ერთ უღელს თანხმობით ეწეოდნო. ეს რა ამბავია, რომ საზოგადოება დაშლილა, წყერნი გაბნეულან და შორიდან ერთმანეთს მომაკვინებელს ყუმბარებს ესერიანო! რამ წართვა ამ საზოგადოებას საერთო სული და სიცოცხლის კავშირიო, მაშინ როდესაც ვარემე მიხეზნები და ყოველდღიური ვარამი ყოველს განკრძოებულს წყერს ამ საზოგადოებისას თითით უჩენებებს მხოლოდ ერთად ერთს სულის ჩამდგმელს და მათს განმადლიერებელს ღონისძიებაზე და ეს ღონისძიება არის **შეარგება, შეთანხმება, შეკავშირება!** რა მიზეზია, რომ ყველა წყერები ერთად გრძობდნენ ამ საჭიროებას, მაგრამ თითოეული მათგანი კი სულ წინააღმდეგად ამისა მოქმედებს! აი, საღ ყოფილაო ცხოვრების უკუღმართობა, აი, რა ყოფილაო ამ საზოგადოების მომაკვინებელი სენი. საიდან წარმოსდგა ასეთი უკუღმართობა და არყე-დარყეა აზრებისა, შეხედულობისა, მისწრაფებისა? ამის გამოსაკვლევად თვალი გადაეწეოთ ჩვენის ქვეყნის მდებარეობას, მოვიგონოთ მისი წარსული. რას დაეინახეთ?..

\*) სილა—ჭიშა.

სომხეთსა და საქართველოს საზღვარზედ რომ ხაზი გაავლო, დარწმუნდები, რომ სწორი ხაზი არ გავილებავ; ზოგვან საქართველოს ნაწილი შეტანილია სომხეთის ქვეყანაში, ზოგვან სომხეთის ნაწილი საქართველოშია შემოკრილი; ამ ორი ერთს მიწა-წყალი ისე გადაბმულია, როგორც ორი ხელის თითები ერთმანეთში შეხლართო და გადააქლო. ვაღვეფურცლოთ ისტორია: მეექვსე საუკუნე მდის ამ ორს ხალხს შორის ნაციონალური განსხვავება თითქმის არ ყოფილა. სომხის პატრიარხები და საქართველოს კათალიკოსები ზშირად ერთი და იგივე პირები ყოფილან, სარწმუნოება ერთი გვექმანია, თეთიონ მიადგმის ისტორიაც ერთი ყოფილა: ჰაოსი და ქართლოსი ძმები ყოფილან. ახლა დაეუახლოვდეთ ჩვენ დროს. დიდი მეფე დავით კურატ-პალატი სომხებს თავის მეფედ მიანჩნა, ქართველებსაც თავის მეფედ. ათას სამასი წლის განმავლობაში ბაგრატიონის დინასტიის მეფეები ჩვენიც ყოფილან და სომხებისაც. ჩვენი მატყანე რომ ვაღვეწალოთ, ერთ გვერდსაც ვერ ენახათ ისეთს, რომ სომხის დიდებულ გვარებს საქართველოს სამეფოს გაძლიერებაში მონაწილეობა არ მიეღოთ \*). მოვიგონოთ არღუთაშვილები, ორბელიანნი, ყორღანაშვილები,

\*) ამ უბედურსა და ერთმანეთის მტრობის დროს როგორც ქართველებს, ისე სომხებს ჩვეულებად აქვთ ერთმანეთის წინააღმდეგობა მხოლოდ ცუდი თვისებები და მათი ცუდი წარმომადგენელი გაიხსენონ, მათს კარგს თვისებებს და კარგს წარმომადგენლებს ივიწყებენ. სამართლიანობა მოითხოვს ცუდთან კარგიც ახსენონ და კარგები წინ დააყენონ.

კ. ბ.

ბებუთაშვილები, დადიანი, შარვაშიძენი და სხვანი. თუმცა აღრიდნენ დეშორადი სარწმუნოების აღსარებით ერთმანეთსა, მაგრამ აღსარების სხვა-და-სხვაობა ერთობას, ძმურს კავშირს და მეზობლურს ვაჟობილებს არ გვიშლიდა. ქართველი სომხის ქალს ირთავდა და შვილები ან მართლ-მადიდებლად რჩებოდნენ, ან გრიგორიანებად; აგრეთვე სომეხი ქართველ ქალს შვირთავდა და შვილები ან გრიგორიანები იყვნენ ან მართლ-მადიდებელნი. ის კი არა, თამარ-მეფის დროს ორი დიდებული სპასალარი: ზაქარია და იოანე არლუთაშვილები—ერთი ძმა რომ გრიგორიანი იყო, მეორე მართლმადიდებელი, ამ სახით აღსარებას არავითარი გაცალკეება ჩვენ შორის არ მოუხდენია. ამას ამტკიცებს ბევრი დღევანდელი გეარებიცა. ფირალაშვილის გვარი სომხებიც არიან ქართველებიცა, თუმანიშვილი—სომხებიც არიან ქართველებიცა, ორბელიანი—სომხებიც არიან ქართველებიცა, ხეჩინაშვილი—სომხებიც არიან ქართველებიცა, მღებრიანიშვილი—სომხებიც არიან, ქართველებიცა, ხაჩაზიშვილი—სომხებიც არიან, ქართველებიცა; უთენელაშვილი—სომხებიც არიან, ქართველებიცა, ავთანდილიშვილი—სომხებიც არიან, ქართველებიცა, დადიანი—სომხებიც არიან, ქართველებიცა და ათასი სხვა. ამ ოცდა ათის წლის წინად ვანა აღიხანაშვილი, აღხაზისშვილი, ბებუთაშვილი, ყარაღანაშვილი იმას იტყოდნენ, რომ ჩვენსა და ქართველებს შორის არავითარი ერთობა არ უნდა იყოსო, თქვენ თქვენთვისო და ჩვენ ჩვენთვისო? ვანა ისინი დღეს საქართველოს თვად-დაუხანან არ არიან?... მაგრამ დღეს სამწუხაროდ დრო გამოიცვალა. აბა, დელაპარაკეთ დღეს, რა გითხრან?...

საერთო საქმეში საპირდაპირო არა გეჰქნა-რა. ძველი ოჯახები ისევე მეგობრულს და მოკიდებულებაში იყვენ ერთმანეთთან: ჭირი და ლხინი მათთვის ერთი იყო. კიდევ მიღი-მოდიოდნენ ერთმანეთში, ასე ვასინჯეთ, სომხებს ქართულ ლიტერატურის წარმატებაშიც დიდი მონაწილეობა ჰქონდათ. ჩვენი ლიტერატურის ისტორია ვერ დაივიწყებს სათანადეს, ანტონოვს, მ. თუმანიშვილს, ფერაშანიშვილს და სხვ.

1860-სა და 1870 წლებში ჩვენმა საზოგადოებრივებამ ერთი ნაბიჯი წინ წადგა. მოვიდა რუსეთის მაღალ სასწავლებელში გამოზდილი ახალგაზდა სომეხ-ქართველობა. ამ დროებში შემოვიდა ქალაქის თეთ-გამგეობა, დაარსდა ტფილისში სასურთიერო ბანკი, საეკურა ბანკი, გაიხსნა საადგილ-მამულო ბანკი და სხვა. ამისთანა საზოგადო წეს-წყობილებათა მოითხოვეს ნასწავლნი, უნივერსიტეტში კურს-დასრულებულნი ახალგაზდანი. ზოგმა დაარსა ყურანალ-განხეთები, მაღალი აზრების ქადაგებით ერთმანეთსა მოიპოვა სუფარული, პატივისცემა საზოგადოებისა და მათ მოღვაწეობის დასჯილდობელად სომხებმა და ქართველებმა მოაწვიეს იგინი მეთაურებად. ამ სახით ახალგაზდებმა დაიჭირეს ქალაქის გამგეობაში და ბანკებში პატივსაცემი, მაგრამ ამისთანავე კარგი შემოსავლიანი, გამოსარჩენი ადგილები. საქალაქო გამგეობაში ისინი გახდნენ მმართველებად, ბანკებში საქმის წარმოებაც იმათ ითავეს. ყველას დაენიშნა კარგი ჯამაგირები. ერთი სიტყვით, ეს ახალი განათლებული კაცები, კარგი აზრების მქადაგებელნი, შეიქმნენ მეთაურებად, როგორც სომხისა, ისე ქართველ საზოგადოებისა. ამისთანავე შემოვიდა ახალი სამართალი; მან გამოაწვია ახალი წრე, ახალი წოდება ადვოკატებისა ფრიად შემოსავლიანი და გამოპირენი. აქაც რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში კურს-დასრულებულებმა მოიკალიათეს და გაიცივნეს კეთილცხოვრების გეგმა. ჩვენ აქ ელაპარაკობთ საქართველო-სომხეთის ყოველის კუთხისა და ქალაქების ახალგაზდობაზე, საცა კი სომხები და ქართველები ასპარეზობდენ და არა მარტო ტფილისისაზე.

სომეხ-ქართველ ახალგაზდობას კიდევ უფრო ვაუჯდათ ძვალსა და რბილში კეთილი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ოჯახობას მოკიდნენ, ესე იგი, შეირთეს ზავედენიებში, ინსტიტუტში და გენეზიებში გამოზრდილი მანდილოსნები, რომელნიც თავიანთ დედა-კაცურს მოკლეობას ხედავდნენ კარგ ჩაცმად-დახურვაში, უცხო ენებზე ლაპარაკში და მდიდრულად ევროპიულს წესზედ მორთულს ცხოვრებაში. ამ დედა-კაცებმა ერთმანეთს დაუწყეს ქიშპობა, ვის უფრო

რად მოხდა ასეთი ვაჟივადება ამ ორსქონანთსავე ერს შორის, რად დაშორდნენ ასე საშინლად, რად უყურებდნენ ეს ორი ხალხი დღეს ერთმანეთს მტრულად, რად უღესენ ერთმანეთს დანას, რომ ერთმა მეორეს თავის ხელით ყელი გამოსჭრას? ეისი ბრაღია, ამ მოსათმენია თუ არა ჩვენგან ასეთი უბედურება?

აი, ამის პასუხად ჩვენ უნდა ჩავედრომავდეთ ჩვენს ცხოვრებას, ცოტა შორიდად უნდა დავიწყოთ კვლევა, რომ აღმოვაჩინოთ ძირითად მიზეზს ასეთის დღევანდელის ვაჟივადებისა ორ მონათესავე ერთა შორის. ეს საქირა უფრო იმისთვის, რომ დღევანდელს სენს წამლობა მოუხებინდეს.

კარგი ექიმი იჯია,  
 ვინც ჰპოებს სენის მიზეზსა.

ამ ოცდა-ათის წლის წინად ჩვენ და სომხები ჯერ კიდევ ძმურად შეეცქეროდით ერთმანეთს.



მდიდარი ოჯახის მორთულობა, მგებელი, ეცხვლეულობა, ძვირფასი ხალები, საფენები და მხატვრობა უნდა ჰქონოდა. ყოველი დიასახლისი დიდიდან სალამომდის იმის ფიქრში იყო გართული, თუ კლუმში და არტისტულ წრეში რომ ბალები გამართებოდა, ან თეატრებში რომ წავიდოდა, როგორ მდიდრულად უნდა ჩაეცვა, როგორ უნდა აეპრიალებინა თავის სამკაული აღმასისა და ბრილიანტების ვარსკვლავებით. ის დიდიდან სალამომდის იმის ფიქრში იყო, ზაფხულობით რომელს მანდიულის წყლებზედ უნდა წასულიყო, სად უფრო ძვირად დაჯდებოდა ცხოვრება, სად უფრო მდიდარი საზოგადოება იქნებოდა, რომ ჩვენი ნასწავლი მანდილოსანიც იქ გაჩენილიყო და თავი მოეწონებინა ფლანგეთა. ბოლოს აღარც მანდიულს წყლებზედ სიარულს ვჯრდებოდენ, ზოგმა ჩვენმა ზაფხულის, გვენახისა და ინსტიტუტის კურს-დასრულებულმა დედებმა მოინდომეს ევროპისკენ მგზავრობაც. აქედან ცხადად დაინახავს მკითხველი, თუ ამისთანა დედების ქჩრები რა მდგომარეობაში ჩაიცივდებოდენ. ამის გამო იმათ ქჩრებს კიდევ უფრო მაგრად უნდა ჩაეველოთ ხელი იმ შემოსავლიან ადგილებისათვის, რომ დიდი მოთხოვნისათვის თავიანთ ოჯახებისა ძლიერ-ძლიერობით დეკამკაოფლინებინათ. სომხისა და შეძლებული ქართველი მეთაური კაცების ყოველი კეთილ-შობილური ვანზახებები, მათი საუკეთესო იდეალები და აზრები სხვათა-შორის ამ მატრიციალურის საშუალების ძებნას უნდა ჩაენთქა ადრე თუ გვიან. რასაკვირველია, იმათ უნდა დაეიწყებოდით ნელ-ნელა ქაბუკობის აზრები და გამხდარიყვენ მონანი ზომიანად მომეტებულის ცხოვრებისა, შექმნილიყვენ ოკროს თორას თავყანისმცემლნი, მამონის მსახურნი. ამ უბედურებას გარდა ახალგაზნათლებულმა დედამ შემოიტანა სომეხ-ქართველ საზოგადოებათა ოჯახში უცხო წესი და განდევნა საშობლო ენა. მაგრამ აქ სომხის სამღვდელეობა წინ აღუდგა ასეთს მაენებელს მიმართულებას, აილო ხელში სარწმუნოების დროშა და მალე შესცვალა სარწმუნოების საშუალებით ეს მაენებელი მიმართულება. აი, ამითი სომხის სამღვდელეობამ დიდი ღვაწლი დასდგა თავის ერს. იმან იკისრა ახალთაობის აღზრდა სამშობლო სარწმუნოებაზედ სამშობლო. ერის საშუალებით. გამართა ჩინებული სკოლები სომხის ქალ-ვაჟებისა, გაუმჯობესდა სწავლება სომხის სემინარიისა, დაარსდა ენობაძინში სასულიერო აკადემია. ერთი სიტყვით აღორძინდა სომხის ახალთაობა სამშობლო ენაზედ; სომხის ლიტერატურასაც ეცვალა ფერი, იგი აყვავდა. მაგრამ, როგორც ვიცით, ყოველს კარგს ცუდიც

მოსდევს. სომხის კლერიკალურმა (სამღვდელთა) მორჩაობამ გარს შემოზღუდა სომხის საზოგადოება, ჩაუკეტა კარი სომხის ერს ჩვენი ან ურთიერთობაში. მან დააშორა სომხის საზოგადოება ქართველობას, ჰკრა გულზედ ხელი თავის მონათესავესა და ძველის ძველს მემზაველს, ალბად უფრო იმ მიზნების გამო, რომ ძველებური სამღვდელთა-სამოქალაქო წესი ქართველებს შეეცვალათ. ქართველი ქალი თუ ვაჟთა-ედებად სომეხზედ, უსათოდ იმ სომხის შეიღებიც ქართველები უნდა გამოსულიყვენ. ამას გარდა თვით ქართველი ოჯახიც ასცდა თავის საერო საფუძველს: ჩვენმა გვენახებში და ინსტიტუტ-ზაფხულისებში გამოზდილმა დედებმა განდევნეს საშობლო ენა ოჯახიდანაც და ამით, წარმოადგინეთ, თავსაც იქებდენ. რასაკვირველია უფრო გონება-განვითარებულს სომხის საზოგადოებას ქართველი ოჯახის ასეთი წყალ-წალბულობა არ მოეწონებოდა და კიდევ უფრო ეცდებოდა ამისთანა ოჯახებთან დაშორებას.

აი, ასეთი გარემოება სომხის მეთაურებმა, რომელნიც ბანკებში და ქალაქების გამკვებებში მხატვრებდენ, ხელზედ დაიხვიეს, შეუერთეს, შეუთანაწარსოვეს თავიანთი პირიქული კეთილ-მდგომარეობის ძიება ნაციონალურის მიმართულებას და როდესაც ვინმე მათს უწესო მოქმედებას გამოაქვეყნებდა, ისინი ავგონებდენ სომხის საზოგადოებას და სომხის ხალხს, რომ ჩვენ იმიტომ გვედევნიან და გვახშილებენ, რომ სომეხები ვართო. ამას სულ იმისთვის სჩადიდოდენ ბანკებში და ქალაქების გამკვებებში მოსამსახურე კაცები, რომ როცა კენჭის-ყრა და არჩევნები იქნებოდა, მოკენჭები თავისკენ მიეხზროთ და ისე თვითავის ადგილებზედ დარჩინილიყვენ, ისევ უწინდელი ჯამაგირები ელოთ, ისევ განსწრობით ეცხოვროთ. რასაც ძველი სომხის მორთვე კაცები საკუთარი სარგებლობის გულისთვის სჩადიდოდენ, იმგავრსავე პოლიტიკას მიჰყვეს ხელი ქართველების მორთვე კაცებმა თავის საზოგადოებაში და დაწვემებულებში, თუ კი სადმე მოეპოვებოდათ, და ამით თან-და-თან უფრო ვამწვავდა უთანხმოება ქართველებსა და სომხებს შორის. ამ გარემოებამ, ესე იგი საკუთარი სარგებლობის ძიებამ, არამც თუ სომეხები და ქართველები, არამედ თვით ძველი და ახალი თაობა ერთის და იგივე ხალხისა ერთმანეთს გადაამტკრა.

დღეს ვინც ამ მეთაურზედ ამოიღებს ხმას, ხმის ამომღებს და ნაკლულყვანების მაჩვენებელს მაშინვე მეთაურთა დამკვეთები, რომელთაც იმათივე წყალობით ლუქმა პური აქვთ, გამცემობას დასწამებენ და აყვირდებიან: გვიშველეთ, სომხის ტრი შეურაცხ-ჰყვეს,

სირაშუს სირაშის კარმაშდის

გეშეველეთ საქართველოს ერს ძირს უთხრიანო! აქ ან სოშის ერი, ან საქართველოს ერი რა შუაშია? მთელს თავის სიცოცხლეში არც ერთს ამ მეთაურთაგანს, არც მგორეს თავის ერისათვის ხალაით არ უწუქებია, საწყალო ხალხისათვის ხელი არ გაუმარბათეს, თუმცა კი იმ საწყალო ხალხისა და საზოგადოების მგონებით ამ მოძველებულმა მეთაურებმა ბევრი ძვირფასი ხალათები გაკეთეს და ათი ათასობითაღ შესკამეს.

ჩვენს მეთაურებზედ, რომელნიც დღეს ბობოლაებად გამხდარან, რაიმე რომ დავსწეროთ, იმათი შეცდომა, ან საქმის დაუდევრობა რომ გამოვაქვეყნოთ, აქ რა შუაში უნდა იყოს ან სოშის ერი, ან ქართველობა? სიკეთის მეტი რა დაუშავდება ან ერთს, ან მგორეს? თუ სხვა არა გამოვიღარა, შეძახებთ გამოფხიზლებიან მიძინებულნი და საზოგადო საქმისათვის, ვვანებ, ესეც კარგი უნდა იყოს. მაგრამ არა. უფლებასა და კეთილ-ცხოვრებას შეჩვეულნი მოთავინი სულ სხვა აზრით ასტყენ სიყინას. ისინი ფიქრობენ, თუ ჩვენ არ ვიქნებით, ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილაო. ამიტომაც უკვირებენ, ამიტომაც სდევნიან და ერის მოლაღატეს ეძახიან მათზედ უფრო გულ-შემატკივარს ახალგაზრდასა, რადგან ეშინიათ თვითონ ტახტიდან არ ჩამოაკეიდნენ და მათი ადგილი სხვამ უფუჯობესმა არ დაიჭიროს.

გ. წერეთელი

ხალხური ლექსები

(ფუგა ნაწარლი გვ. იგუანაქიასი)

I



უ შეხედნებთ ერთმანეთსა, ჩაგვაქორის-ქორებენო; შაგვიტყობენ სიყვარულსა, დაგვაშორი-შორებენო!

— ნუ ჩაყვები ქვეყნის ჭორსა, ჩაგრებილი წწელიაო; გვაძულებენ ერთმანეთსა, ყველა ჩვენი მტერიაო.

II

— წიგნს დაეწერ, გამოგვიგზავნი ჩემგულად, სამოთხისაო! ერთს ღამეს ჩემთან წამოდი, მე ვიცი შენს ქმრისაო!

— სიყვარულს გამოგვიგზავნი, წამომღებელი ქარია; მე თავს არ გაეიუწოცებ, თუნდ მიმეტებდეს ქარიაო.



ატონი პაატა ამტიკებს, რომ სიტყვები: „ხატვა“ და „ნახატი“ არსებობსო და „ნახატე-ბიანი“ კი არაო. — საბუთი გვიჩვენეთ, ბნო პაატა, საბუთი მეცნიერული, ცალიერ თქვენს სიტყვებს მარტო ვერ ვენდობით, ვერ დაგვიტყვებთ. ხოლო მეცნიერული საბუთი აქვს ამბობს, რომ „ნახატი“ წარმოსდგება ზნისაგან „ხატვა“, როგორც სხვა ბევრი ამ გვარი სიტყვები და შეადგენს მიმღობას (приращение).\*) მაგალ. ჩამოეთვალთ შემდეგი ზნებიდან წარმოებულნი მიმღობანი, რომელთაც ბნი პაატა უარს ჰყოფს, თანამად მისის პირადის მოსაზრებისა:

- ზნა ჭრა, მიმღობა ნაჭერი, მრ. რიც. ნაჭრები და ნაჭერებიანი
- ფუქნა, — ნაფუქენი — ნაფუქენები — ნაფუქენებიანი
- ფლეთა — ნაფლეთი — ნაფლეთები — ნაფლეთებიანი
- კუწვა — ნაკუწი — ნაკუწები — ნაკუწებიანი
- წწა — ნაწწი — ნაწწები — ნაწწაგებიანი და სხვ.

მაგრამ ჩვენ ახლა იმაზედაც ვჭვი უნდა შევიტანოთ, ვი თუ ბნმა პაატამ სიტყვები: ნაფუქენები, ნაკუწები და ნაკუწებიანი არც კი იცოდეს და ამის გამო უარ-ჰყოს და განდენოს ისე, როგორც უარ-ჰყო და განდენა სიტყვები: ნახატები და ნახატებიანი ქართული ენიდან. მაგრამ რაც კაცმა არ იცის და არ უსწავლია, განა საბუთია იმის არ ყოფისა? ვკრე თუ მიყვებით, ქართული ენა მხოლოდ ენიისში და ტვილის გარეშო სოფლებში თუ დარჩენილა, სხვაგან კი აღარსად. ეს რომ ასე იყოს, აღარც კი ელირებოდა ქართული ენისა, კულტურისა და ქართული ლიტერატურისათვის თავის მტერევა. მაგრამ საბუნდებროდ ჩვენდა ქართულ ენას დასაველითის საქართველოშიც კი ლაპარაკობენ და, როგორც ვიცით, მისი სიმდიდრე, მისი ძველი ლიტერატურული ფორმები უფრო იქ შენახულა, საცა თათრული, სპარსული და სომხური ენების გაელენა ნაკლებად ყოფილა: მაგ.: მთის მასრებში: ზემო იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, აჭარა ლიგანაში, და ახალ ციხე-პასტუნის მასრებში; ბარად: სამეგრელოში, გურიაში, ოკრიბაში და სხვ. ქართველმა ლიტერატორმა ხალხის გულში უნდა ისწავლოს ქართული ენა, ძველი მწიგნობრობის კითხვას გარდა, რომ მრავალ გვარი ქართული ენის წყაროებიდან შესდგეს ერთი ლინიერი ნაკადული ქართული სალიტერატურო ენისა, თორემ ტვილელ-კახურ კილოთი მარტო შორს ვერ წავალით და მალეც დაშრება ფე ნაკადული ქართული სიტყვიერებისა.

რადგან ყოველი მიმღობა (приращение), ზნისაგან წარმოებული, ზედ-შესრულია, უსათუოდ მრავ-

\*) იხილე ანტონ კათალიკოსის გრამატიკა 273, 280, 281, 282 და 183 მუხლი. პლ. იოსელიანის გრამატიკა 65 გვერდი 1863 წლ. გამოცემა.

ლობითი რიცხვები უნდა ჰქონდეს, ამისთვის რომ ყოველი ზედ-შესრული თვით-არსი სახელი კი არ არის, არამედ დამოკიდებულთა სახელი არსებითისა და ნაკელ-სახელისაგან. რადგან ამით მრავლობითი რიცხვი აქვთ, მათს თვისების აღწერას ზედ-შესრულსაც და მიმღობასაც მრავლობითი რიცხვი უნდა ჰქონდეს. აი, გრამატიკიდან გამოკლებული კანონი ეს გახლავთ. ხოლო თქვენ რომ ბრძანებთ ყველა ამ გვარი სიტყვები „მარტო სახელი არსებითიდან არის წარმოებული და სხვა ნაირი დაბოლოებაც აქვსა“, ესე იგი, მიმღობა არ არის და არც მისი მრავლობითი რიცხვი შეიძლება, ეს მარტო, თქვენგან შეთხზული გახლავთ. თქვენ გასამტყუნებლად მოვიყვანთ იმავე „იერიის“ ნომრის, რომელშიაც თქვენი გაკილეა დასტამბული; გვერდი მეორე: — „ლატიშეს განუზრახავს უძველესი ნაწერების გამოცემა და სხე.“; სჩანს სიტყვა ნაწერების უფროსად და ნაწერებიანიც შეიძლება ითქვას, მაგალითად შაჟხედ, თუ იგი მართლა ნაწერებით არის გავსებული.

მიმღობა, ბ-ნო პაატა, სხვა ვახლავთ, ზემოხსენებულ კანონისამებრ წარმოებული, და ამ გვარადვე წარმოებული სიტყვა სახელი არსებითიდან სულ სხვაა. პირველსა აქვს მნიშვნელობა ზედ-შესრულისა და იმპარება ზოგჯერ, როგორც არსებითი სახელი, მეორე კი ნამდვილი სახელი არსებითია და აღნიშნავს ალაგს, რომელზედაც მდგარა ან ყოველთა რაიმე სგანა. მაშასადამე როცა ერთზედ არის ოლაპარაკი და მოკამათე კი

მეორე საგანზედ გადახატება, მაგას ჰქვია სიტყვის მხედ ავლება და ნიშნავს, რომ მოკამათე არა დგას საფუძვლიანს ნიადავზედ, არამედ საკუთარი მოსაზრებით შედგენილს საბუთზედ დგას და ამ გვარი საბუთით, მოგვესწინებათ, შორს ვერ წავა მკვლევარი. აქედან აიხსნება ბატონი პაატას სასაცილო დაეკნა, რომ „ჩუბინაშვილის ლექსიკონში ნახატი კი ვიპოვე და ნახატებიანი ვერაო“. იმას რომ ლექსიკონის კითხვა სცოდნოდა, ამას არ იტყვოდა. ლექსიკონში შხოლოდ სიტყვებისა და სახელების (ორამატიკულად) დასაწყისებია დაბეჭდილი; იქ ყოველი-ნაირი გრამატიკულად ნაწარმოები ფორმები კი არ იბეჭდება. ეს ფორმები თვითონ უნდა აწარმოოს ამ დასაწყისის სიტყვებისაგან, ვინც კი ენა იცის, ძველი მწერლობა უკითხავს და ხალხშიაც უსებოვრია. აბა, როგორ შეიძლება იმ კაცთან ბაასი, რომელმაც ლექსიკონის მნიშვნელობა და მისი კითხვაც არ იცის, ვერ არჩევს მიმღობას სახელი არსებითიდან ნაწარმოებს სიტყვებში და ერთმანეთში ურევს: „ნახატი“ „ნახატისაგან“ და „ნახატებიანი“ „ნახატებიანისაგან“ ვერ გაურჩევია... მაგრამ კმარა.

რაიკა შეგებია „ნახატრებსა“ და „ნახატრებიანსა“, ამისთანა ნეოლოგიზმები სჯობს ბ-ნმა პაატამ თავის საკუთარის ლექსიკონისათვის შეინახოს და თუ ჰსურს, „უოლაბადღე“ ზედ მიუმატოს.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

# განცხადებანი საბაღო-სნო წარმოება „როკვი“

მისილ სტეფანეს მის ბეთანიშვილისა  
ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის, და სახლის მოსარაოთე მცენარეები. აგრეთვე ისყიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავაა, ამისგანა ბეთანიშვილის ბაღში მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილ ოცეთის გრილ ჰაერში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოვნებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოცთხის თბილ ჰაერში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბაღში არის ამ ყვამდ ორასი ჩანის ვარდისა, ბურბონისა, რიმონტატივისა და სხვა ნაირი ვარდების ნერგები. ზებილის ნერგები საუკეთესო რუსეთის და ევროპის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიჭვეული და ლიბანოს კედრის მგზავსი ხეე-

ბის ნერგები; ჩირაგვეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწვანობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფოთოლი სცივიათ.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათნავე უფასოდ იგზავნება.

ქართველთა დრამატულ საზოგადოების მმართველობამ განიშრნა მისში გამართოს სყენის (სახობის) მოყვარეთათვის

## გამოსაძელი წარმოდგენა

ვისაც ჰსურს ღრამატულ დასში მონაწილეობის მიღება მომავალ ზამთრის სეზონის დროს, მმართველობა იწვევს თავისი სურვილი წერილით აკლდინოს მისის პირველმადე და მასთან თავისი სრული აღრესი. რეპერტიკების დრო გამოცხადებული იქნება „იერიისაში“ და „კალში“. წერილები უნდა წარმოეგზავნოს მმართველობის დანიანსპეტერ იოსების ძეს უშიკაშვილს, ტფილისს, ანჩისხატთან ბეგატაიონის ქუჩა, სახლი ლენინივისა № 15.

